სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №03-697

ქ. თბილისი

30.04.2015

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის მსურველი აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიღების წესის დამტკიცების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N224/ნ ბრძანების საფუძველზე,

ვბრძანებ

1. დამტკიცდეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის მსურველი აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიღების წესი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;
2. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს რექტორის 2014 წლის 25 ნოემბრის N03-1794 ბრძანება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის მსურველი აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღების წესის დამტკიცების შესახებ";

3. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული წესი განათავსოს უნივერსიტეტის ვებ გვერდზე;
4. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს უნივერსიტეტის ყველა საგანმანათლებლო და სტრუქტურულ ერთეულს.

რექტორი

გიგა ზედანია